საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეაბჯრე

მეაბჯრე (ისტ.), აბჯრისმტვირთველი, საჭურველთმტვირთველი. 1. დიდგვარიანი მხედრის (რაინდის) აბჯრის (საჭურვლის) მზიდავი ახალგაზრდა მეომარი. როგორც საგანგებო თანამდებობა, ეძლეოდათ წარჩინებული პირების შვილებსაც. მაგ., სარგის II ჯაყელი (1306–41) „აღზრდილი იყო აბჯრის მტვირთველად“; 2. აბჯრის მნე (მოხელე, განმგებელი) ძვ. საქართველოში, იგივე ჯაბადარი (ჯაბახანის გამგე). ემორჩილებოდა ამილახორის თანაშემწეს – მეაბჯრეთუხუცესს.

ლიტ.: ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი კ., ქ ა ფ ი ა ნ ი ძ ე მ., ქართული საჭურველი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ.1, თბ., 2000; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3–4, თბ., 1962.

ი. შაიშმელაშვილი